

საქართველოს კანონი

“უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. “უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” საქართველოს კანონში (27 დეკემბერი 2005 წელი პარლამენტი. კანონი №2535-რს) შეტანილ იქნას შემდეგი დამატებები და ცვლილებები

1. მე-3 მუხლის “თ” პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“თ) სახელმწიფომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე შეიძლება უარი უთხრას ნებისმიერ უცხოელს, რომელიც ეჭვმიტანილია ისეთ საერთაშორისო დანაშაულებში, როგორებიცაა ტერორიზმი, ნარკოტიკების კონტრაბანდა, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), და ინფექციური დაავადებით დაავადებულ პირს.”

2. მე-19 მუხლის მეორე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> პუნქტი:

“2<sup>1</sup>. საქართველოში ვადიანი ცხოვრების ნებართვა გაიცემა ასევე იმ უცხოელზე, რომლის შესახებ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი, დაზარალებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.”

3. 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> პუნქტი:

“2<sup>1</sup>. იმ უცხოელზე, რომლის შესახებ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი, დაზარალებული, ვადიანი ცხოვრების ნებართვა გაიცემა და ვადიანი ცხოვრების ნებართვა გაგრძელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე.”

4. 58-ე მუხლის მესამე პუნქტის ”ვ” ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ”ვ<sup>1</sup>” ქვეპუნქტი:

“ვ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში უცხოელი, რომლის შესახებ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ის შეიძლება იყოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის მსხვერპლი, დაზარალებული.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი